ᲯᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ორგანო ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ოთხშაბათი
22 ნოემბერი
1939 წ.
№ 268 (5668)
ფასი 10 კაპ.

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

საოლქო საარჩევნო კომისიები შეუდგნენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციას. საარჩევნო კამპანია შევიდა ახალ, უმნიშვნელოვანეს ეტაპში. ფართოდ გავშალოთ სააგიტაციო მუშაობა დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ და უზრუნველვყოთ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ახალი, ბრწყინვალე გამარჯვება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში.

კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და თავდადების ნიშნით ემზადებიან ორდენოსანი საქართველოს მშრომელები ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. 1939 წლის 24 დეკემბერს სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ისინი ერთსულოვნად აირჩევენ სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს — მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს.

რაც დრო გადის, მით უფრო ჩაღდება საარჩევნო კამპანია. იგრძნობა არჩევნების დღის მოახლოება. არჩევნების დებულების საფუძველზე შექმნილი საარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საარჩევნო კომისიები, აგრეთვე ყველა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საოლქო კომისიები გაცხოველებით შეუდგნენ მუშაობას. პირველი ნაბიჯები გადადგეს საუბნო საარჩევნო კომისიებმაც. სასოფლო და ქალაქების რაიონულ საბჭოებს წესრიგში მოჰყავთ ორგანიზაციულ-ტექნიკური საქმეები, საყოველთაო გაცნობისათვის გამოაკრეს ამომრჩეველთა სიები, აწყობენ და მიმზიდველად აფორმებენ საარჩევნო უბნებს.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა სააგიტაციო და მასობრივი პოლიტიკური მუშაობა. აგიტატორები და წამკითხველ-მესაუბრეები დღითიდღე აფართოებენ თავიანთ საქმიანობას. სააგიტაციო მუშაობის მაღალ იდეურ დონეზე დაყენებამ ამომრჩეველთა ფართო მასების ახალი შრომითი ენტუზიაზმი გამოიწვია. მშრომელები კისრულობენ ვალდებულებებს ახალი საწარმოო სიმაღლეებით შეხვდნენ არჩევნების ისტორიულ დღეს.

უკვე დაიწყო არჩევნებისათვის მზადების უაღრესად პასუხისმგებელი ეტაპი — ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და მათ სასარგებლოდ ბოლშევიკური აგიტაციის გაჩაღების ეტაპი. საოლქო საარჩევნო კომისიები შეუდგნენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციას.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 53 საოლქო საარჩევნო კომისიამ უკვე გაატარა რეგისტრაციაში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად ქ. თბილისის № 53 საარჩევნო ოლქში საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი, მტკიცე სტალინელი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგული კანდიდ ნესტორის-ძე **ჩარკვიანი.** ამასთანავე მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად რეგისტრირებული არიან: ორდენოსანი სტახანოველი, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მექვაბე მიხეილ ფილიმონის-ძე **გეწაძე** (№ 7 საარჩევნო ოლქი) და ამავე ქარხნის სტახანოველი მბურღავი ქალი ნინო ალექსანდრეს-ასული **ცოტნიაშვილი** (20 საარჩევნო ოლქი).

კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები, არიან ჩვენი ქვეყნის ცნობილი ადამიანები, შრომის ნოვატორები, სტახანოველები, ბოლშევიკური პარტიის სახელოვანი შვილები, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, საკოლმეურნეო შრომის მოწინავენი, წითელი არმიის გმირული მებრძოლები და მეთაურები, მუშა - მოსამსახურეთა თვალსაჩინო წარმომადგენლები.

დაასახელეს რა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატები, საქართველოს მშრომელები ამ დიდ საქმეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობით ეკიდებიან. მათი მთავარი ყურადღება მიმართულია იქითკენ, რომ ადგილობრივ საბჭოებში წარგზავნონ საუკეთესონი, მოწინავე და თავდადებული მებრძოლნი სოციალიზმისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის.

კომუნიზმის უკვდავი იდეებით შეიარაღებული ქართველი ხალხი, რომელიც მონოლიტურად არის შემჭიდროებული ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ, სავსებით დარწმუნებულია იმაში, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ახალი არჩევნები „...იქნება ჩვენი პარტიისა და მთავრობის გარშემო შემჭიდროებული საბჭოთა საზოგადოების ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ახალი მძლავრი დემონსტრაცია. ამ არჩევნებში მთავარი ადგილი უნდა დაიჭიროს მშრომელთა ყოველდღიური ცხოვრებისა და ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებმა. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ აგრეთვე სწორია ისიც, რომ ეს არჩევნები დიდ დახმარებას გაგვიწევენ იმ მხრივ, რათა გავაძლიეროთ მთელი ჩვენი პოლიტიკური მუშაობა და ფართო მასებისათვის კიდევ უფრო გასაგები გავხადოთ საბჭოთა კავშირის არა მარტო საშინაო პოლიტიკა, არამედ საგარეო პოლიტიკაც“ **(ვ. მოლოტოვი).**

ხალხის საუკეთესო შვილები საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში,—ასეთია საბრძოლო ლოზუნგი, რომლის ირგვლივაც გაერთიანებულია ყველა ამომრჩეველი.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა ახლა ერთიორად იზრდება. სტალინური საარჩევნო კანონის ურყევად გატარებისა და აღლანდელ არჩევნებში საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცების ნიშნით უნდა სწარმოებდეს მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. კომუნისტური ორგანიზაციები, რომლებიც შეუთანხმდნენ უპარტიოებს დეპუტატობის საერთო კანდიდატის წამოყენების შესახებ, ახლა ვალდებულნი არიან განსაკუთრებული ყურადღებითა და პასუხისმგებლობით უხელმძღვანელონ წინასაარჩევნო აგიტაციას, შაღალ იდეურ დონეზე წარმართონ წინასაარჩევნო მასობრივი პოლიტიკური მუშაობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ახალი ბრწყინვალე გამარჯვება.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკი ურღვევია. ახლანდელ არჩევნებში ის კიდევ უფრო განმტკიცდება. ეჭვი არ არის, ადგილობრივ საბჭოებში არჩეული იქნებიან ისინი, ვინც განუხრელად მიდის ლენინის გზით, ვისაც უსაზღვროდ უყვარს თავისი სოციალისტური სამშობლო, ვინც ბოლომდე ერთგულია ლენინ-სტალინის პარტიისა, ზრუნავს ხალხის ინტერესებისათვის და მზად არის მთელი თავისი სიცოცხლე მოახმაროს სოციალიზმის საქმეს.

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი

ამხ. მ. ფ. გეწაძე

ამხ. ნ. ა. ცოტნიაშვილი

ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი რეგისტრირებულია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

19 ნოემბერს რკინიგზელთა პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 53 საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

გახსნა რა სხდომა, კომისიის თავმჯდომარემ ამხ. მ. გ. მელქონიანმა განაცხადა, რომ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ოთხათასიანმა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მე-53 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად წამოაყენა მტკიცე სტალინელი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგული **კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.**

საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა რეგისტრირებულ იქნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად ქ. თბილისის მე-53 საარჩევნო ოლქში ამხ. კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი, დაბადებული 1907 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრირებული არიან ამხ. მ. ფ. გეწაძე და ნ. ა. ცოტნიაშვილი

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 7 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა და საარჩევნო ბიულეტენში შეიტანა დეპუტატობის კანდიდატი **მიხეილ ფილიმონის-ძე გეწაძე,** დაბადებული 1900 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ორდენოსანი, წარჩინებული სტახანოველი, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მექვაბე. ამხ. გეწაძის კანდიდატურა ერთსულოვნად იქნა მოწონებული სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ოთხათასიანი კოლექტივის მიერ.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 20 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა დეპუტატობის კანდიდატი **ნინო ალექსანდრეს-ასული ცოტნიაშვილი,** დაბადებული 1901 წელს, უპარტიო, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი მბურღავი, რომელიც ერთსულოვნად წამოაყენა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ოთხათასიანმა კოლექტივმა.

ლენინგრადის ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ახალგაზრდა პატრიოტთა მოწოდება

ლენინგრადის ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ახალგაზრდა გემთმშენებლებმა, რომლებიც ემზადებიან სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისათვის, საბჭოთა კავშირის მთელს ახალგაზრდობას მიმართეს მოწოდებით — ახალი სტახანოვური გამარჯვებებით შეხვდნენ არჩევნებს.

მთელ კოლექტივთან ერთად ქარხნის ახალგაზრდა პატრიოტებმა გადასწყვიტეს არჩევნებისათვის მზადება აღნიშნონ წლიური გეგმის ვადამდე — 12 დეკემბრისათვის შესრულებით და ხარისხობრივ მაჩვენებელთა ამაღლებით. ქარხნის მთელ კოლექტივთან ერთად მათ იკისრეს ვალდებულება: 24 დეკემბრისათვის შეასრულონ სპეციალური დავალება კომკავშირის საშეფო სამ ობიექტში, 25 პროცენტით შეამცირონ არსებული წუნი წარმოებაში, მიაღწიონ სამუშაო დროის დაკარგვის შემცირებას ისეთი პირობების შექმნით, რომლებიც გაანთავისუფლებენ კვალიფიციურ მუშებს დამხმარე სამუშაოსაგან.

ახალგაზრდა გემთმშენებლებმა იკისრეს აგრეთვე ვალდებულება მოაწყონ ქარხანაში 75 სტახანოვური სკოლა, რომლებშიც ისწავლის 500 კაცი, პროფესიების შესათავსებლად მეორე სპეციალობა შეასწავლონ 200 ამხანაგს, წამყვან ოპერაციებზე ქალის შრომით მამაკაცის შრომის შესაცვლელად მოამზადონ 100 ქალიშვილი, ერთიორად გაადიდონ მრავალდაზგელთა რიცხვი.

ორჯონიკიძელებმა გადასწყვიტეს განახორციელონ 300 რაციონალიზატორული წინადადება, მოიზოგონ ერთნახევარი პროცენტი ელექტროენერგია, 5 პროცენტი სათბობი ქარხნისათვის დაწესებულ საერთო გეგმასთან შედარებით.

ქარხნის კომკავშირელები და ახალგაზრდობა საარჩევნო უბნებში ჰგზავნიან 250 ახალგაზრდა აგიტატორს, კონკრეტულ დახმარებას უწევენ საშეფო კოლმეურნეობათა კომკავშირელებს სააგიტაციო მუშაობაში და არჩევნების ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომზადებაში.

საწარმოში თავდაცვითი მუშაობის განმტკიცებასთან ერთად, ახალგაზრდა გემთმშენებლებმა იკისრეს ვალდებულება 60 კაცით დააკომპლექტონ მეზღვაურთა სკოლები, 24 დეკემბრისათვის მოამზადონ პირველი საფეხურის 200 ვოროშილოველი მსროლელი და 70 მეტყვიამფრქვეველი.

— ჩვენ, — ნათქვამია მიმართვაში, — მოვუწოდებთ ჩვენი ქვეყნის ყველა ახალგაზრდა პატრიოტს — ჩაებან შესანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რათა საუკეთესოდ შეხვდნენ მთელი საბჭოთა ხალხის დიდ და სასახელო დღესასწაულს — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს.

„ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, — ამთავრებენ თავიანთ მიმართვას ორჯონიკიძელები, — რომ მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა გამოეხმაურება ჩვენს მოწოდებას, თავგამოდებით იბრძოლებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის და ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს მთელი მსოფლიოს წინაშე თავის უსაზღვრო ერთგულებას ბოლშევიკური პარტიის ყოვლისმძლე საქმისადმი, ჩვენი მასწავლებლის, მეგობრის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის — საყვარელ ამხანაგ სტალინისადმი“.

კოსტა ხეთაგუროვის იუბილე

ზეიმი ქ. ორჯონიკიძეში

ორჯონიკიძე, 21 ნოემბერი (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ქ. ორჯონიკიძის სახელმწიფო თეატრში გაიხსნა საზეიმო კრება, მიძღვნილი მგზნებარე რევოლუციონერ დემოკრატის, ოსური ლიტერატურის ფუძემდებელი დიდი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის დაბადების 80 წლისთავისადმი. კრება შესავალი სიტყვით გახსნა ჩრდილოეთ-ოსეთის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **კულოვმა.** მან ილაპარაკა კოსტას შემოქმედებაზე, ოს ხალხზე, რომელმაც თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში დაჰკარგა თავისი საყვარელი შვილი, ოსეთზე, რომელიც ახლა ჰყვავის სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ.

კრების პრეზიდიუმის არჩევა გაიარეს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის დემონსტრაციად. საზეიმო კრება საპატიო პრეზიდიუმში განსაკუთრებული აღფრთოვანებით აირჩევს ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს** და მის ერთგულ თანამებრძოლებს — მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაურს **ამხ. მოლოტოვს,** საბჭოთა კავშირის პირველ მარშალს ამხ. **ვოროშილოვს,** ამხანაგებს **კალინინს, კაგანოვიჩს, ანდრეევს, მიქოიანს, ჟდანოვს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს, მალენკოვს, დიმიტროვს.**

კოსტას შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ჩრდილოეთ-ოსეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ეფხიევმა. კრება მჭუხარე ოვაციებით შეხვდა პოეტ ს. გოროდეცკის წინადადებას ამხანაგ **ი. ბ. სტალინისათვის** მისალმების გაგზავნის შესახებ.

მისალმებებით გამოსული მწერლები დაღისტნიდან, ჩაჩნეთ-ინგუშეთიდან, უკრაინიდან, სამხრეთ-ოსეთიდან ლაპარაკობდნენ ოსი ხალხის დიადი შვილის კოსტა ხეთაგუროვისადმი სიყვარულის გრძნობაზე.

საზეიმო კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმებები საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხ. **ვ. მ. მოლოტოვისა** და თავდაცვის სახკომის ამხ. **კ. ე. ვოროშილოვისადმი.**

ვ. გორგაძე

სსრკ მწერალთა კავშირის პლენუმი

ორჯონიკიძე, 21 ნოემბერი **(ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან).** ოსეთის ხალხის უდიდესი მწერლის კოსტა ხეთაგუროვის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. დღეს დილით ქ. ორჯონიკიძის ქალაქის თეატრში გაიხსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის პლენუმი, რომელსაც ესწრებიან მოკავშირე რესპუბლიკათა მწერლობის წარმომადგენლები. სხდომა გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანმა ამხ. **ა. ა. ფადეევმა,** რომელმაც წარმოსთქვა შესავალი სიტყვა. ვრცელი და საინტერესო მოხსენებით კოსტა ხეთაგუროვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გამოვიდა კრიტიკოსი **ი. მალენკოვი.** ოსმა მწერალმა **მამსუროვმა** გააკეთა მოხსენება თემაზე „კოსტა ხეთაგუროვი და თანამედროვე ოსური ლიტერატურა“.

სხდომა აღფრთოვანებით შეხვდა დარბაზში საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაციის გამოჩენას, რომელშიაც შედიან მწერლები ირაკლი აბაშიძე, ილო მოსაშვილი, სანდრო ეული და ვასო გორგაძე.

დღის 4 საათზე ქალაქ ორჯონიკიძეში ჩაეყარა საძირკველი კოსტა ხეთაგუროვის მონუმენტს.

ხვალ პლენუმზე მისალმებით ქართველ მწერალთა დელეგაციის სანელით გამოვა პოეტი ილო მოსაშვილი, ხოლო პოეტი ვასო გორგაძე გააკეთებს მოხსენებას თემაზე „კოსტა ხეთაგუროვი და ქართული ლიტერატურა“.

100 რადიოლექცია სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიღწევების შესახებ

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გამოცდილების განზოგადება

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პრეზიდიუმსა და პრესის სამმართველო უახლოეს ხანში აწყობს იმ რადიოლექციების ციკლის გადაცემას, რომლებიც განაზოგადებენ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა—1939 წლის გამოფენის ექსპონენტთა გამოცდილებას და ახდენენ ამ გამოცდილების პოპულარიზაციას.

კომინტერნის სახელობის რადიოსადგური ხუთდღიურში ორჯერ გადასცემს გამოჩენილ მეცნიერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ლექციებს კოლმეურნეებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებისათვის. რადიოლექციების ტრანსლაცია დეკემბრის პირველ რიცხვებში დაიწყება სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. ი. ა. ბენედიქტოვის გამოსვლით და გაგრძელდება 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნამდე.

სულ წაკითხულ იქნება 100-ზე მეტი ლექცია. რადიოლექციების რედაქტორად დანიშნულია აკადემიკოსი ნ. ვ. ციცინი.

პირველ ლექციებს რადიოთი წაიკითხავენ აკადემიკოსები ლისენკო, კელერი, ციცინი, სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანები—ანგელინა, ეფრემოვი და სხვები. (საკდესი).

22 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში რუსულ ენაზე შესდგება პროფესორ ვ. ტალაბაძის ფასიანი ლექცია თემაზე:

„ბურჟუაზიული და სოციალისტური დემოკრატია“.

შესვლა 1 მანეთი. ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროში, რუსთაველის პროსპექტი № 21.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბროშა განდისა და აგიტაციის განყოფილება

უკანასკნელი ცნობები

ფინეთის ევაკუირებულ მცხოვრებთა მდგომარეობა

როგორც ვიცით, ფინეთის მთავრობამ მობილიზაცია გამოაცხადა და დიდი ქალაქების მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილის ევაკუაცია მოახდინა. რამდენიმე დღის განმავლობაში მარტო ჰელსინკიდან ევაკუირებულ იქნა 100 ათასი კაცი — ამ ქალაქის მოსახლეობის ერთი-მესამედი ნაწილი. ეს ხალხი — მოხუცები, ქალები და ბავშვები — მთელს ფინეთში გაანაწილეს და ისინი უაღრესად არახელსაყრელ პირობებში ჩავარდნენ.

„ბუნებრივია, — იუწყება შვედეთის გაზეთი „ნიუ დაგი“,—რომ, როცა ევაკუირებული ხალხი ჰხედა, რომ პანიკისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ მათ საბჭოთა კავშირის მხრით არ მოელით არავითარი სამიშროება, რაზედაც მათ ფინეთის ხელისუფალნი ეუბნებოდნენ, აღშფოთებით მოითხოვეს, რომ ისინი შინ დაებრუნებინათ. მაგრამ ხელისუფლების ორგანოები მათ ამ მხრივ ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნიან. წინათ ევაკუაციის ხარჯს სახელმწიფო იხდიდა, ახლა კი გამოცხადებულია, რომ იმან, ვისაც შინ დაბრუნება უნდა, დაბრუნების ხარჯი თვითონ უნდა იკისროს. ფინეთის პრესა ევაკუირებულებს მოუწოდებს არ დაბრუნდნენ და დარჩნენ იქ, სადაც არიან. ნიულანდიის გუბერნიაში გამოქვეყნებულია მიმართვა ევაკუირებულთა მიმართ შემდეგი სათაურით: „ევაკუირებულნი სამშობლოში ჯერ კიდევ არ უნდა დაბრუნდნენ“. ფინეთში არსებული დაძაბული მდგომარეობისათვის გაზეთი „ნიუ დაგი“ ბრალსა სდებს ფინეთის პრესას და კერძოდ საგარეო საქმეთა მინისტრის ერკოს ორგანოს — გაზეთ „ჰელსინგინ სანომატს“.

ანტისაბჭოთა კამპანია, რომელსაც გაზეთი აწარმოებდა, ცხადია, არამცდაარამც არ უწყობდა ხელს ხელსაყრელ წანამძღვართა შექმნას საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებისათვის. „მთავრობასა და ფინეთის პრესას, — სწერს „ნიუ დაგი“, — რომ მოლაპარაკების დაწყებიდანვე გამოექვეყნებინათ სსრ კავშირის წინადადებანი, რომელნიც არ იყვნენ მიმართული არც ნეიტრალიტეტის წინააღმდეგ და არც ფინეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, — უეჭველია მიღწეული იქნებოდა შეთანხმება სსრ კავშირთან“. განსაკუთრებით ძლიერია მოძრაობა საბჭოთა კავშირთან დაუყოვნებლივ შეთანხმებისათვის ფინეთის არა მარტო მშრომელთა შორის, არამედ ცალკეულ სამეურნეო წრეებშიაც, რომელნიც იშედოვნებენ საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებით მიიღონ ბაზრები ფინეთის საჭონლის გასასაღებლად სსრ კავშირში.

21 ნოემბერი. (საკდესი).

ჯამბული რეგისტრირებულია ალმა-ატის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

ალმა-ატა, 19 ნოემბერი (საკდესი). სახალხო განათლების ალმა-ატის საოლქო განყოფილებისა და ავტოტრესტის კოლექტივების წინასაარჩევნო კრებაზე, რომელსაც 246 კაცი დაესწრო, მშრომელთა დეპუტატების ალმა-ატის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია სახელგანთქმული ჯამბული ჯაბაევი.

საბჭოთა ცირკის 20 წლისთავის დღესასწაული

20 ნოემბერს მოსკოვის სახელმწიფო ცირკში შესდგა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა მოსკოვის და ლენინგრადის ცირკების, სახელმწიფო ცირკთა მთავარი სამმართველოს მსახიობებისა და მუშაკების დაჯილდოებას.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ცირკთა მთავარი სამმართველოს უფროსმა — ორდენოსანმა ამხ. ვ. ბ. ბელერმა. მან მაღალი ჯილდო მიულოცა საბჭოთა ცირკის ყველა მუშაკს.

მოკლე სიტყვა წარმოსთქვეს ორდენოსნებმა — რსფსრ სახალხო არტისტმა ბ. ა. ედერმა, რსფსრ დამსახურებულმა არტისტებმა ლ. კ. ფერონი-ტანტიმ და ი. ვ. დუროვმა. საბჭოთა ცირკის ყველა მუშაკის სახელით მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიას და მთავრობას ყოველდღიური მზრუნველობისა და ყურადღებისათვის, ვალდებულება იკისრეს დაუღალავად იმუშაონ საცირკო ხელოვნების შემდგომი აყვავებისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით და ენტუზიაზმით გაუგზავნეს მისალმებანი ამხანაგ **სტალინს,** ამხანაგ **მოლოტოვსა** და ამხანაგ **კალინინს.**

○

22 ნოემბერს მოსკოვის ცირკში შესდგება საზეიმო საიუბილეო წარმოდგენა, რომელიც მიეძღვნება საბჭოთა ცირკის 20 წლისთავს.

(საკდესი).

საარჩევნო კამპანიის ქრონიკა

20 ნოემბერს ათასობით მოსკოველები იყვნენ საუბნო საარჩევნო კომისიების სადგომებში, რათა შეემოწმებინათ — შეტანილი არიან თუ არა ისინი ამომრჩეველთა სიებში, დამახინჯებული ხომ არ არის მათი გვარი, სახელი და სხვ.

ბევრი რაიონული საბჭო წერილობით სთხოვს ამომრჩევლებს ეწვიონ საუბნო საარჩევნო კომისიას სიების გასაცნობად.

○

მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების წინასაარჩევნო საოლქო თათბირებზე არჩეული რწმუნებული პირნი სემინარები რწმუნებულ პირთათვის.

○

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის გმირი გ. მ. შტერნი რეგისტრირებულია ხაბაროვსკის სამხარეო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

○

დამთავრდა ლენინგრადის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია. მე-59 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდალის, არმიის მე-2 რანგის სარდლის, ამხ. კ. ა. მერეცკოვის კანდიდატურა.

წყნარი ოკეანის ფლოტის წითელფლოტელებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა პრიმორიეს სამხარეო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს ჩვენი ქვეყნის ერთერთი საუკეთესო ფლოტელი — წყნარი ოკეანის ფლოტის სარდალი, 1 რანგის ფლაგმანი იუმაშევი, მე-2 რანგის კაპიტანი მიხაილოვი და კომკავშირელი წითელფლოტელი როდიონოვი.

○

პარტიის ორჯონიკიძის სამხარეო კომიტეტმა მხარის რაიონებში ჩაატარა საარჩევნო კომისიათა თავმჯდომარეებისა და მდივნების ჯგუფური სარაიონთაშორისო თათბირები. ათასამდე კაცმა მოისმინა საინსტრუქციო მოხსენებანი არჩევნების ტექნიკის შესახებ. (საკდესი).

ძვირფასი სუმრების გაცილება

კიევი, 20 ნოემბერი (საკდესი). გუშინ კიევიდან გამგზავრების წინ უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ ლევოვის, ტარნოპოლის, სტანისლავოვისა და ლუცკის ოლქების დელეგაციები, რომლებიც ოქტომბრის დღესასწაულებში მონაწილეობის მისაღებად იყვნენ ჩამოსული. საუბარს დაესწრნენ ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვი, მ. ა. ბურმისტენკო, მ. ს. გრეჩუხა.**

ამხ. კარმაზინმა და ოხატმა (ლვოვის ოლქი), ვინტერმა და კორნოვამ (ტარნოპოლის ოლქი) და სხვებმა დამსწრეთ გაუზიარეს უკრაინაში მოგზაურობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებანი. მათ დაათვალიერეს ფაბრიკები, ქარხნები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები. აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ ისინი მათ მიერ ნახულზე. ამბობდნენ, რომ თვალსათლივ დარწმუნდნენ, თუ რა კარგად ცხოვრობენ საბჭოთა ქვეყანაში მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია. მშრომელები ყველგან ძმური სიყვარულითა და მეგობრულად ხვდებოდნენ დელეგატებს.

საუბრის დასასრულს გამოვიდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

ქვანახშირის პირველი ჭონები

(ტყიბული, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ გელათის მაღარო, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის XXII წლისთავზე შევიდა ექსპლოატაციაში, უკვე იძლევა ქვანახშირის პირველ ტონებს. ამ მაღაროდან 20 ნოემბრამდე ამოღებულია 1200 ტონაზე მეტი ქვანახშირი.

5 სანგრევიდან სწარმოებს ქვანახშირის გამოღება. ამუშავებულია 80 მეტრის სიგრძის ერთი ლავა.

სტახანოველი მნგრეველები გ. გოგსაძე, ზ. გოძიევი და ტ. გოჩელაშვილი დღეში ორ-სამ ნორმას ასრულებენ.

გელათის მაღარო, სადაც უკვე მთავრდება კონვეიერებისა და საყელავი მანქანების დადგმა, სრული დატვირთვით ამუშავდება 23 ნოემბერს.

დ. საგელაშვილი.

საქართველოს სს რესპუბლიკა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წინ

სტატია დაბეჭდილია „პრავდის“ 21|XI-ის ნომერში

კ. ჩარკვიანი
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

1938 წლის 12 ივნისს ქართველმა ხალხმა დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე აირჩია თავისი უმაღლესი საბჭო. საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა მძლავრი ბლოკის კანდიდატებს, ხმა მისცეს ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას, ბრძენსა და საყვარელ ბელადს — მშობლიურ სტალინს.

საბჭოთა საქართველოს მაგალითზე ამომწურავი სისრულით შეიძლება დავასურათოთ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზისა და მისი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი ხალხის ნამდვილი აღორძინება დაიწყო. ცარიზმის ჩამორჩენილი კოლონია, შემდგომში ჭართველი ხალხის უბოროტესი მტრების—მენშევიკების—და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების ბანკიდან მათი ბატონ-პატრონების მიერ დარბეული და გაძარცული საქართველო გადაიქცა კოლმეურნეობებისა და თანამედროვე დიდი ქარხნების და ფაბრიკების აყვავებულ რესპუბლიკად.

კაპიტალური დაბანდება საქართველოს სახალხო მეურნეობაში მარტო მეორე ხუთწლედის განმავლობაში 2 მილიარდ 558 მილიონ მანეთს შეადგენდა. თუ საქართველოს სახალხო მეურნეობაში სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა 1928 წელს 33 პროცენტს უდრიდა, 1937 წელს იგი 75 პროცენტს აღემატებოდა და ამავე დროს სოფლის მეურნეობის პროდუქციაც სწრაფად იზრდებოდა.

თბილისში აგებულია დიდი დაზგათმშენებელი ქარხანა, ფოლადთუჯასამსხმელო ქარხანა. ავტოსარემონტო ქარხანა და ფეხსაცმლის ფაბრიკა, რომელიც წელიწადში 4,5 მილიონ წყვილ ფეხსაცმელს იძლევა. საფუძვლიანად რეკონსტრუირებული და გაფართოებულია ყველა ძველი საწარმო. მეორე ხუთწლედში ამუშავდა: ფეროშენადნობთა ქარხანა ქალ. ზესტაფონში, ტყვარჩელის ქვანახშირის შახტი, მოლიბდენის გამომმუშავებელი საწარმო, შაქრის ქარხანა და სხვ. 1938 წლის დამლევს თავისი პირველი პროდუქცია მოგვცა მდინარე ენგურზე აგებულმა ქალაქის კომბინატმა.

საქართველოს მძიმე მრეწველობის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს მარგანეცის მრეწველობა. მარგანეცის სამრეწველო მარაგის მხრივ საქართველოს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. პირველი და მეორე ხუთწლედების პერიოდში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა მთლიანად რეკონსტრუირებულ და აღორძინებულ იქნა. მარგანეცის ამოღება წლითი-წლობით მატულობს. 1938 წელს საქართველომ 1.600 ათასზე მეტი ტონა მარგანეცის მადანი მოგვცა.

ამხანაგმა სტალინმა დაგვისახა ამოცანა —უზრუნველვყოთ საქართველოს და ამიერკავკასიის მთხოვნილებათა დაკმაყოფილება საკუთარი ქვანახშირით. რევოლუციამდე ქვანახშირის ამოღება საქართველოში მხოლოდ ტყიბულში სწარმოებდა. საბჭოთა ხელისუფლების დროს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები მნიშვნელოვნად იქნა რეკონსტრუირებული. ამასთან ერთად ტყვარჩელში აგებულ იქნა ქვანახშირის ახალი საწარმო, რომელმაც 1938 წელს 167 ათასი ტონა ქვანახშირი მოგვცა. საქართველოს მთელმა ქვანახშირის მრეწველობამ 1938 წელს მოგვცა 427,7 ათასი ტონა, წელს კი გაცილებით მეტს მოგვცემს.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველაზე ახალგაზრდა დარგს წარმოადგენს ნავთის მრეწველობა. ნავთი ჩვენში აღმოჩენილია რამდენიმე ადგილას — წითელწყაროს, თბილისისა და ლანჩხუთის რაიონებში და სამხრეთ-ოსეთში. ყველა მონაცემი არის იმისათვის, რომ უახლოეს მომავალში საქართველო სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის ერთერთი ბაზა გახდება.

საბჭოთა ხელისუფლებამ ბათუმში ააგო ნავთსახდელი ჭარხანა, რომელიც უდიდესია საბჭოთა კავშირში. ეს ჭარხანა ყოველწლიურად ბაქოს ნედლი ნავთის 3 მილიონ ტონაზე მეტის გადამუშავებას აწარმოებს.

რევოლუციამდე საქართველოში საფეიქრო მრეწველობა არ იყო. ამჟამად ჩვენ გვაქვს მთელი რიგი საფეიქრო ფაბრიკები, რომლებიც ადგილობრივი ნედლეულით მუშაობენ. ასეთია თბილისისა და ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკები, მაუდ-კამოლის ფაბრიკა და აგრეთვე მთელი რიგი აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრიკები მეაბრეშუმეობის რაიონებში.

საქართველოს მრეწველობისათვის შექმნილია ენერგეტიკული ბაზა. საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე 100 ათას კილოვატს აღემატება. გარდა ამისა, 1938-1939 წლებში ამუშავდა თბოელექტროსადგურები — ტყვარჩელის სადგური და თბილისის თბოსადგურის პირველი რიგი.

ამჟამად შენდება და მესამე ხუთწლედის ბოლომდე საექსპლოატაციოდ გადაეცემა ხრამის ჰიდროელექტროსადგური და სოხუმის ჰიდროსადგური.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ კვების მრეწველობაზე. პირველ ხუთწლედამდე საქართველოს კვების თანამედროვე ინდუსტრია არ ჰქონია. მისი განვითარება მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში დაიწყო. 1938 წელს ჩაის 34 ფაბრიკამ მოგვცა 9.739-ზე მეტი ტონა ხმელი ჩაი (მათ შორის ეგრეთწოდებული „აგურა ჩაიც“). აგარის ბაქრის ქარხანამ, რომელიც ადგილობრივი ჭარხლის გადამუშავებას აწარმოებს, 1938 წელს 140 ათასზე მეტი ცენტნერი შაქარი მოგვცა. დიდი მუშაობა იქნა გაწეული ღვინის მრეწველობის ქარხნების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ხაზით. 1938 წელს საქართველოს მარტო სახელმწიფო ღვინის ქარხნებმა მოგვცეს 951 ათასი დეკალიტრი სუფრის ღვინო და 527 ათასი დეკალიტრი არაყისა და კონიაკის ნაწარმი.

საქართველო მეღვინეობის კლასიკურ ქვეყნად ითვლება. მაგრამ სულ უკანასკნელ წლებამდე ჩვენში შამპანური ღვინის წარმოება სრულიად არ ყოფილა. ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში, ამხანაგ სტალინის მითითებით, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა შამპანური ღვინის წარმოებას. თბილისში შენდება შამპანური ღვინოების ქარხანა, რომელიც უდიდესი იქნება სსრ კავშირში.

კ. ჩარკვიანი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

საბადო ტყვარჩელში ნავთის მრეწველობის ახალი ბაზაა. ამ საბადოზე ბაქოს ნავთის 3 მილიონ ტონაზე მეტის გადამუშავების ბაზა იქმნება.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მშრომელი გლეხობა სიღატაკისა და ნახევარმონირი არსებობისაგან იხსნა.

საბჭოთა საქართველოს მრავალფეროვანი, მდიდარი სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მის სიამაყეს. საბჭოთა კავშირის მილიონობით მშრომელები, რომლებმაც სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს სს რესპუბლიკის პავილიონი დათვალიერეს, აღტაცებას გამოსთქვამდნენ საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიღწევათა გამო.

მაგრამ პავილიონის ექსპონატებს შეეძლოთ მხოლოდ დაახლოებით აესახათ ის გაქანება, რომელიც საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებამ მიიღო. საქართველო, უწინარეს ყოვლისა, იმვიათი სუბტროპიკული კულტურების აყვავებული ბაღნარია. „ქართველმა კომუნისტებმა,— ამბობდა ამხ. მიქოიანი საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, — ამხანაგ ლავრენტი ბერიას მეთაურობით საუცხოო მუშაობა ჩაატარეს დასავლეთ საქართველოში, სადაც უკვე ახლა ცალკეული კუთხეები კალიფორნიაზე უკეთესია, და შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენ გვექნება ჩვენი საბჭოთა კალიფორნია, ამერიკულზე უკეთესი“.

საქართველოს ბოლშევიკებმა, ასრულებდნენ რა ამხანაგ სტალინის მითითებებს, შეჰქმნეს ინტენსიური სოციალისტური სოფლის მეურნეობა, რომელიც სსრ კავშირში ერთადერთი მწარმოებელია სამრეწველო მასშტაბით ისეთი კულტურებისა, როგორიც არის: ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, სუბტროპიკული ნაყოფი, მაღალხარისხოვანი თამბაქო.

იქ, სადაც წინათ უნაყოფო მიწებზე ველური ბუჩქნარი იზრდებოდა, ამჟამად გაშენებულია კოლმეურნეობათა მშვენიერი უხვმოსავლიანი ჩაის პლანტაციები. ჩაის პლანტაციების ფართობი, ნაცვლად 25,5 ათასი ჰექტარისა 1932 წელს და 894 ჰექტარისა რევოლუციამდე, 1939 წლის პირველი იანვრისათვის დაახლოებით 45 ათას ჰექტარს შეადგენდა.

წლითი-წლობით სწრაფი ტემპით მატულობს ჩაის ბუჩქის მოსავლიანობა. 1932 წელს თვითეულ ჰექტარ სრულმოსავლიან ჩაის პლანტაციაში 701 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფდნენ, 1939 წელს კი თვითეული ჰექტარის მოსავლიანობა 2.284 კილოგრამს შეადგენს. არიან ცალკეული კოლმეურნეობანი, სადაც თვითეულ ჰექტარზე ჰკრეფენ 5-7 ათასს, ხოლო ზოგ შემთხვევაში 10 ათას კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლსაც.

საქართველოს ჩაის რაიონების კოლმეურნეები მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს ჩაის კრეფის დარგში მთავრობის დავალების შესრულებით ეგებებიან. 1939 წლის 1 ნოემბრისათვის საქართველოში, გეგმით გათვალისწინებული 43.100 ტონის ნაცვლად, მოკრეფილი და დამზადებულია 44.790 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ ციფრის მნიშვნელობა უფრო გასაგები გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველომ მოგვცა 1935 წელს 12.745 ტონა, 1937 წელს — 27.313 ტონა, ხოლო 1938 წელს— 35.300 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

წელს საქართველოს სოფლის მეურნეობა სწყვეტს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამოცანას — იგი საბჭოთა კავშირს აძლევს ნახევარ მილიარდ ცალ ციტრუსოვან ნაყოფს. ზოგიერთ სუბტროპიკულ რაიონში არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, ციტრუსოვანთა დამზადების გეგმა უთუოდ იქნება შესრულებული. რევოლუციამდე სუბტროპიკულ მცენარეთა მცდელთ და ცალკეულ მოყვარულთ დაახლოებით 500 ჰექტარი ციტრუსოვანი ნარგავი ჰქონდათ. 1939 წლის 1 იანვრისათვის კი საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობმა 10.500 ჰექტარს მიაღწია. 1940 წლის დამლევისათვის საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ციტრუსოვანთა ბაღები 23.000-ზე მეტ ჰექტარს დაიკავებენ.

საქართველოს კოლმეურნეთა კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე მევენახეობა, რომელსაც მრავალი საუკუნის ისტორია აქვს, მეხილეობა, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა, მარცვლეულის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის თვითეული ეს დარგი აღორძინდა და გაფართოვდა საბჭოთა ხელისუფლების დროს.

საბჭოთა საქართველოს კულტურის ზრდა საკმაოა რამდენიმე შტრიხით დავახასიათოთ. საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინარობა მოსახლეობაში ძირითადად ლიკვიდირებულია. სასკოლო ქსელი რამდენჯერმე გაიზარდა, მოსწავლეთა რიცხვი 1914 წელთან შედარებით 375 პროცენტით გაიზარდა. რევოლუციამდე საქართველოში არცერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ყოფილა. დღეისათვის ჩვენ გვაქვს 18 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 22 ათასი სტუდენტი სწავლობს.

კულტურისა და ხელოვნების განვითარების მხრივ საქართველოს საბჭოთა კავშირის მომძე რესპუბლიკათა შორის ერთერთი პირველი ადგილი უკავია. ხალხის კულტურის აღორძინებასა და ზრდაში იხატება ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისა და სსრ კავშირის ხალხთა სტალინური ოჯახის ურღვევი თანამეგობრობის ძალა.

მეურნეობისა და კულტურის აყვავება, ხალხის ფიზიკური და სულიერი ძალების აღმავლობა თავის გამოხატულებას პოულობს მოსახლეობის უაღრესად სწრაფ ზრდაში. 1897 წელს საქართველოს მოსახლეობა 1.914 ათას კაცს შეადგენდა. 20 წლის შემდეგ, 1917 წელს, საქართველოში იყო 2.238.000 სული, ეს იგი მოსახლეობამ 16,9 პროცენტი მოიმატა. შემდგომი ათი წლის განმავლობაში მოსახლეობის რიცხვმა 18 პროცენტი მოიმატა. პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების განმავლობაში კი საქართველოს მოსახლეობამ 30 პროცენტი მოიმატა და ნაცვლად 2.720.000 კაცისა 1928 წელს, 3.540.000 კაცს შეადგენდა 1938 წელს.

ასეთია უკანასკნელი წლების განმავლობაში საბჭოთა საქართველოს სამეურნეო და კულტურული ზრდის შედეგები. ქართველი ხალხი ამ მიღწევებს უნდა უმადლოდეს ლენინ-სტალინის დიად პარტიას, იგი ამ მიღწევებს უნდა უმადლოდეს უდიდეს დახმარებას მოძმე რუსი ხალხის მხრივ, რომელიც ახალი კაცობრიობის ავანგარდს წარმოადგენს. სოციალისტური საქართველოს წარმატებანი განუყრელად არის დაკავშირებული ერთგული სტალინელის—ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელთან, რომელმაც ქართველი ხალხი აღზარდა ბოლშევიკური პარტიის საქმისა და მშობლიური სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

სოციალისტური საქართველოს მიღწევები მოპოვებულია დაუნდობელი ბრძოლით ტროცკისტ-ბუხარინელ და ბურჟუაზიულ - ნაციონალისტ მახინჯებთან, რომლებიც ცდილობდნენ წაერთმიათ მშრომელებისათვის ბედნიერი და საამური ცხოვრება. ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს მუშები, გლეხები და ინტელიგენცია მომავალშიაც შეუბრალებლად გაანადგურებენ საზიზღარი მტრის ნაბოლარებს.

ქართველი ხალხი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებზე მიდის სოციალიზმის მაღლაალმართული, გაშლილი დროშით. იგი ხმას მისცემს კომუნისტთა და უპარტიოთა მძლავრი ბლოკის კანდიდატებს და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში აირჩევს თავის საუკეთესო შვილებს—ვაჟებსა და ქალებს.

ამის საწინდარია ის უდიდესი მუშაობა, რომელიც გაჩაღდა საქართველოს ყველა რაიონში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მოსამზადებლად. რესპუბლიკაში მოწყობილია 28.084 საარჩევნო ოლქი მშრომელთა დეპუტატების ყველა საბჭოს ასარჩევად და 2.777 საარჩევნო უბანი. საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში მუშაობს 115 ათასზე მეტი მუშა, გლეხი და ინტელიგენტი. მოსახლეობაში ყოველდღიურ მუშაობას ეწევა 40 ათასზე მეტი აგიტატორი, რომელთა შორისაც მნიშვნელოვან პროცენტს უპარტიონი შეადგენენ.

ამ დღეებში დაიწყო თბილისისა და სხვა ქალაქების მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები. არჩევნებისათვის მზადება, მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები უდიდეს საწარმოო აღფრთოვანებას აწვევენ ყველა საწარმოში, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს მთელი ქართველი ხალხის პატრიოტული გრძნობების უდიდესი აღმავლობის ვითარებაში, ქართველი ხალხისა, რომელიც ცხადყოფს თავის ურყევ დარაზმულობას ბოლშევიკური პარტიის გარშემო, თავის სიყვარულს ბრძენი მშობლიური სტალინისადმი.

უკეთ გავაშუქოთ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება

დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები დგას ჩვენი ბოლშევიკური პრესის წინაშე ამჟამად, როდესაც მთელი ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი ქვეყანა გაცხოველებით ემზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. საქართველოს საოლქო, რაიონულმა და საქარხნო გაზეთებმა ძირითადად სწორად გაიგეს თავიანთი როლი და ამოცანა ამ მხრივ, ჩვენი გაზეთების უმრავლესობა კარგად აშუქებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საკითხებს, მაგრამ ამ ერთგვარ მიღწევებთან ერთად ჩვენს პრესას, განსაკუთრებით რაიონულ გაზეთებს, აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

მაგალითისათვის ავიღოთ აბაშის რაიონული გაზეთი „საბჭოთა სოფელი“. ის სუსტად აშუქებს არჩევნებისათვის მზადებას რაიონში, არჩევნებისათვის მზადებისადმი მიძღვნილი მოწინავე წერილებისა და გვერდების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. მეტწილად „საბჭოთა სოფელი“ არჩევნებისათვის მზადების საკითხებს საგიტაციო მუშაობის ჩვენებით ამოსწურავს. გაზეთი ხშირად სწერს აგიტატორების მუშაობაზე. ეს კარგია, მაგრამ თითქმის ყველა ეს წერილი ერთიმეორესი ჰგავს. თითქმის ყველა წერილში ჩამოთვლილია კარგი და სუსტი აგიტატორების გვარები. ხოლო თუ რაში გამოიხატება აგიტატორების „კარგი“ და „სუსტი“ მხარე, გაზეთი ამას არ უჩვენებს. საერთოდ, გაზეთი „საბჭოთა სოფელი“ ღრმად არ სწვდება არჩევნებისათვის მზადების საკითხებს, არ ახდენს გამოცდილების გაზიარებას. გაზეთი არ უჩვენებს იმ მიღწევებს, რომლებითაც ხვდება აბაშის რაიონი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს.

სათანადოდ ვერ გამოხმაურა არჩევნებისათვის მზადებას თიანეთის რაიონული გაზეთი „კოლექტიური მესაქონლეობაც“. გაზეთი კანტიკუნტად სწერს არჩევნებისათვის მზადებაზე. 10 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე არჩევნებისათვის მზადებას გაზეთმა მხოლოდ 3 მოწინავე და სამიოდე არაფრისმთქმელი წერილი უძღვნა, რომელთა მიხედვითაც ძნელია წარმოიდგინო, თუ როგორ ემზადება თიანეთის რაიონი არჩევნებისათვის.

ასევე არადამაკმაყოფილებლად აშუქებს არჩევნების საკითხებს სოხუმი გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“. ამ გაზეთმა უკანასკნელ ხანებში მართალია შედარებით მოუხშირა არჩევნებისათვის მზადებაზე მასალების ბეჭდვას, მაგრამ საქმე ისაა, რომ „საბჭოთა ოსეთი“ მეტწილად არჩევნებისათვის მზადების ერთ მხარეს —საგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეხება, ძალიან ცოტას სწერს არჩევნებისათვის მზადების ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარეებზე. არჩევნებისათვის მზადებისადმი მიძღვნილი წერილებიც ხშირად მწირალი და ტრაფარეტულია.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა გაზეთმა არჩევნებისათვის მზადების გაშუქების საკითხში შეცდომებიც დაუშვა. ამ მხრივ საყურადღებოა ხაშურის რაიონული გაზეთის „ბოლშევიკური სიტყვის“ მაგალითი. „ბოლშევიკური სიტყვის“ შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მან ხაშურის ქალაქის საბჭოს პარტორგანიზაციის მიერ საარჩევნო კომისიებში თავისი წარმომადგენლების წარგზავნის, გაზეთის 27 ოქტომბრის ნომერში დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება უწოდა. მართალია, მორიგ ნომერში გაზეთმა გასწორა ეს შეცდომა, მაგრამ „გასწორებაშიც“ შეცდომა დაუშვა. ხაშურის რაიონული გაზეთის მაგალითი იმას მოწმობს, რომ ზოგიერთი ჩვენი რაიონული გაზეთის მუშაკებს ჯერ კიდევ არასწორი წარმოდგენა აქვთ არჩევნების დებულების შესახებ. ისინი ვერ ხედავენ, რომ ეს დებულება საჭირო კი არის, რომ მათ მუდამ წელთ იკონონ არჩევნების დებულება და ხშირად გადათვალიერონ მისი თვითეული მუხლი.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების გაშუქებაში არსებული ასეთი ნაკლოვანებანი, რომლებზედაც გვჭონდა ლაპარაკი, დამახასიათებელია მთელი რიგი ჩვენი რაიონული გაზეთებისათვის. რაიონულმა გაზეთებმა უნდა გარდაჭრან თავიანთი მუშაობა. მათ მთელი თავიანთი საქმიანობა უნდა დაუქვემდებარონ დღევანდელი დღის ცენტრალურ ამოცანას — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას.

არ უნდა დავიწყოთ, რომ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წარმატება, კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება წარმოუდგენელია ბეჭდვითი აგიტაციის გაუწევლად.

ჩვენი გაზეთების ვალია წამოყენებულ კანდიდატთა რეგისტრაციის შემდეგ ფართოდ გაშალონ ნამდვილი, ბოლშევიკური აგიტაცია კანდიდატთა სასარგებლოდ. დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ აგიტაციის დროს საჭირო და აუცილებელია გაზეთებმა თავიანთ ფურცლებზე საკმაო ადგილი დაუთმონ თვით ამომრჩევლების წერილებს, ამომრჩევლებისა, რომლებიც შესანიშნავად უამბობენ მკითხველებს წამოყენებულ კანდიდატთა ღირსებათა და დამსახურებაზე.

თვითეული რაიონული გაზეთის ვალია არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით ადგილობრივი ფაქტებითა და მაგალითებით ცოცხლად და დამაჯერებლად უჩვენოს ამომრჩევლებს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ის დიდი მიღწევები, რომლებიც მოიპოვა საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა საყვარელი ბელადის ბრძენი **სტალინის** ხელმძღვანელობით, არჩევნებისათვის მზადების პერიოდში სააგიტაციო მუშაობის ფართო გაჭანება ავალებს გაზეთებს უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ ადგილობრივ თემებს, ადგილობრივ ცხოვრებას, რაიონის, მისი ცენტრის, მოწინავე საწარმოთა და მოწინავე კოლმეურნეობათა მასალებზე რაიონულმა გაზეთებმა უნდა გვიჩვენონ ახალი, საბჭოთა ადამიანების თვალწარმტაცი და მრქეფარე ცხოვრება.

მთელ ამ დიდ და საპასუხისმგებლო მუშაობასთან ერთად რაიონულმა გაზეთებმა არ უნდა დაივიწყონ ძირეული პრესაც, რომელიც მოითხოვს სისტემატურ და აქტიურ დახმარებას. რაიონულმა გაზეთებმა უნდა გააშუქონ საუკეთესო კოლის გაზეთების გამოცდილება, ამხილონ ჩამორჩენილი კოლის გაზეთები, გზადაგზა გაუსწორონ შემჩნეული შეცდომები.

რაიონული გაზეთების მუშაკებს, მუდამ უნდა ახსოვდეთ და არ ივიწყებდნენ, რომ „საარჩევნო კამპანიის ბოლშევიკური ორგანიზაციაა, ბოლშევიკური აგიტაცია კანდიდატთა სასარგებლოდ. დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ აგიტაციის დროს საჭირო და აუცილებელია გაზეთებმა თავიანთ ფურცლებზე საკმაო ადგილი დაუთმონ თვით ამომრჩევლების წერილებს, ამომრჩევლებისა, რომლებიც შესანიშნავად უამბობენ მკითხველებს წამოყენებულ კანდიდატთა ღირსებას

ქალაქი ქუთაისი წინასაარჩევნო დღეებში



პარკი ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის წინ.
ფოტო ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა)

დემუშავობის კანდიდატები

ამ ქალაქში ყველაფერი ახალი და მიმზიდველია. სუფთა და ლამაზი, მოასფალტებული ქუჩები, ბაღნარებიანი სახლები, მარადმწვანე, ფერადყვავილნარებიანი პარკები,— ასეთია ახლანდელი ქუთაისის სახე.

ბნელი ღამეები, ისედაც სიბეჩავეში მყოფ ადამიანებს საუკუნეთა მანძილზე გულზე სევდად რომ აწვნენ, უკვე დიდიხანია გაჰქრნენ. ყველა ჭუჩიდან და სახლიდან ელიჩის ელნათურებით განდევნეს უკუნეთი.

აღარად სჩანს მშრომელთა დაღვრემილი, ცხოვრების სიმწარით დანაოჭებული სახეები. სადაც არ უნდა გაიაროთ, — ყველგან ნახავთ ახალ, შემოქმედებითი ენტუზიაზმით ხავსე ცხოვრებას დაწიფებულ ადამიანებს, უსაზღვრო მადლობით რომ უმეტესად მშობლიურ **სტალინს.**

ბესარიონ ლაშქარაძემ, 72 წლის მოხუცმა, მხოლოდ უკანასკნელ 18 წელს გაიხარა. წინათ კი ბოლომით სავსე შესცქეროდა იგი შავბნელ დროს. დღეს ის ამაყი და წელში გამართულია. იგი აგიტატორ ვ. ჩაველიძის კარგი მეგობარი გახდა. ყოველთვის, როცა არჩევნების დებულებების შემსწავლელთა წრის მსმენელები იკრიბებიან, მოხუცი ბესარიონი პირველი მიდის მეცადინეობაზე და ცხოველი ინტერესით ისმენს აგიტატორის ნათქვამს.

○

წინათ, მეფის სატრაპების თარეშის წლებში, მხოლოდ ცხრაასიოდე „ამომრჩეველი“ იყო მთელ ქუთაისში, ახლა კი მარტო მე-26 საარჩევნო უბანში 1.679 ამომრჩეველია. ისინი ემზადებიან ერთხმად მისცენ ხმა და აირჩიონ ქალაქის საბჭოს დეპუტატები—კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები, მოწინავე ადამიანები, ლენინ-სტალინის საქმისათვის ბოლომდე თავდადებულნი, დიადი საბჭოთა სამშობლოს ერთგული შვილები. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკმა ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა:

ვიქტორ გიორგის-ძე თორთლაძე, ქუთაისის მაუდის საქსოვი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი. უწინ იგი ფეიქრად მუშაობდა და როგორც მოწინავე, როგორც მაგალითის მიმცემი სხვებისათვის—დააწინაურეს. ამხ. ვ. თორთლაძე დასახელებული და რეგისტრირებულია ქუთაისის ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 78 საარჩევნო ოლქში.

გიორგი სერაპიონის-ძე რობაქიძე უწინ წერილების დამტარებლად მუშაობდა, შემდეგ ელექტრო-მონტიორობა ისწავლა და სამკერვალო ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. აქ მან მალე გაითქვა სახელი, დაწინაურდა და დღეს ამავე ფაბრიკის პარტბიუროს მდივნადაა არჩეული იგი დასახელებული და რეგისტრირებულია დეპუტატობის კანდიდატად № 73 საარჩევნო ოლქში.

შალვა ალექსის-ძე ჯიქია ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის საუკეთესო სტახანოველია. მას პატივს სცემენ არა მარტო ფაბრიკაში, არამედ ყველგან, სადაც კი მას იცნობენ. როგორც მოწინავე წარმოებასა და საზოგადოებრივ მუშაობაში, იგი დასახელებული და რეგისტრირებულია დეპუტატობის კანდიდატად № 56 საარჩევნო ოლქში.

პლატონ გიორგის-ძე წულუკიძე დამსახურებული პედაგოგია, ყველას მიერ პატივცემული და საყვარელი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი. იგი დასახელებული და რეგისტრირებულია დეპუტატობის კანდიდატად № 24 საარჩევნო ოლქში.

ალექსანდრე სოლომონის-ძე იმედაშვილს, რესპუბლიკის სახალხო არტისტსა და ქართული სცენის შესანიშნავ მოღვაწეს, იცნობენ ყველგან, მთელს რესპუბლიკაში, მას იცნობენ და იგი უყვართ ქუთაისის მშრომელებსაც. ამიტომ იყო, რომ ასე ერთხმულად წამოაყენეს ალ. იმედაშვილი დეპუტატობის კანდიდატად № 138 საარჩევნო ოლქში.

კიდევ მრავალი მოწინავე და ხალხის ერთგული შვილი წამოაყენეს ქუთაისის მშრომელებმა ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ქუთაისის მშრომელები ხალისითა და სიხარულით მოელიან 24 დეკემბერს, რათა ხმა მისცენ და აირჩიონ საქალაქო საბჭოში ისეთი მოწინავე ადამიანები, როგორიცაა: **თამარ შალომეს-ასული რიჟინაშვილი** —სატრიკოტაჟო ფაბრიკის სტახანოველი, **ისაკ კონსტანტინეს-ძე ანთაძე**—ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელი, **რებეკა სამონის-ასული ხაბურძანია**—საკონსერვო ქარხნის მოწინავე სტახანოველი, დამსახურებული მსახიობი **იუზა ზარდალიშვილი, მელიქსედეკ სტეფანეს-ძე ბეჭაია** — მეცნიერი მუშაკი და სამშობლოს ერთგული პატრიოტი, **სოფიო არტემის-ასული ხობუა**— დაწინაურებული კომკავშირელი მჭედველი, რეჟისორი **გრიგოლ სულაშვილი, თინათინ თეიმურაზის-ასული ბენიძე**—აბრეშუმის კომბინატის სამდახურასანი სტახანოველი, **ნოე ბესარიონის-ძე გაფრინდაშვილი,** მსახიობი **თამარ კიკნაძე** და მრავალი სხვანი.

ასეთ მოწინავე ადამიანებს აირჩევენ ქუთაისის მშრომელები ქალაქის საბჭოს დეპუტატებად 1939 წლის 24 დეკემბერს.

გ. ყურაშვილი

ქუთაისი დღეს

▽

ნ. ჯინჭარაძე

ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

△

ქუთაისმა დიდიხანია მოიპოვა საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის სახელწოდება. ინდუსტრიის ზრდასთან ერთად, ფაბრიკა-ქარხნების ქსელის გაფართოებასთან ერთად, იზრდება ქალაქიც, იზრდება მისი მოსახლეობა. მეორე მხრივ, მშრომელთა ეკონომიური პირობების თანდათანობით გაუმჯობესება იწვევს ხალხის კულტურულ-ყოფა-ცხოვრებითი მოთხოვნილებების ზრდას, რაც აუცილებელს ხდის ქუთაისის ქალაქის საბჭოს მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს დეპუტატების სანგარიშო მოხსენებების ჩატარებისას, რაც 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის დამლევამდე მიმდინარეობდა, აშკარად გამოირკვა, რომ ქალაქის საბჭომ ჯერ კიდევ ვერ შესძლო მუშაობის ისე გაშლა, რომ მასების გაზრდილი მოთხოვნილებები სავსებით დააკმაყოფილოს. საბჭოს დეპუტატების სანგარიშო მოხსენებებზე გამოდიოდნენ მშრომელები და, აკრიტიკებდნენ რა დეპუტატების მუშაობას, ამავე დროს შემოჰქონდათ კონკრეტული წინადადებები საბჭოს შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად და იმის შესახებ, თუ რას უნდა მიექცეს პირველ რიგში ყურადღება, რას მეორე რიგში და ა. შ. რამდენიმე დეპუტატის მუშაობა, როგორც, მაგალითად, მარო პატარიძისა და ლიუდმილა შოთაძისა, ამომრჩევლებმა შეფასეს სუსტად. სანგარიშო კრებებზე დამსწრე მშრომელები მოითხოვდნენ საბინაო მშენებლობის უფრო ფართოდ გაშლას, ქუჩების კეთილმოწყობის დაჩქარებას, კანალიზაციის ქსელის მოწყობას და სხვ.

ქუთაისი სწრაფი ტემპით იზრდება. 1934 წლის მდგომარეობასთან შედარებითაც კი, ქალაქი შესამჩნევად გადასხვაფერდა, გაიზარდა, გაფართოვდა. 1934 წელს ქუთაისში ითვლებოდა 62.227 მცხოვრები. ამჟამად ქუთაისის მოსახლეობამ 81.479-მდე მიაღწია. მოსახლეობის ზრდა უდრის 30,9 პროცენტს.

1934 წელს ქუთაისის საწარმოებმა ქვეყანას მისცეს 26.844.800 მანეთის პროდუქცია (მტკიცე ფასებში), ხოლო წელს ნავარაუდევია 61.964.700 მანეთის პროდუქციის მიღება (იმავე ფასებში). სამრეწველო პროდუქციის ზრდა უდრის 230,8 პროცენტს. ქუთაისში ახლა 25 მსხვილი საწარმოა. განვლილი 5 წლის მანძილზე ქუთაისს 8 ახალი საწარმო შეემატა. ამავე დროს შესამჩნევად გაიზარდა ქალაქის წვრილი მრეწველობა. 1934 წელს ქუთაისში იყო 22 ადგილობრივი მნიშვნელობის წვრილი საწარმო, სადახაც ვღებულობდით 11.949.400 მანეთის პროდუქციას, ხოლო ამჟამად 53 საწარმო გვაქვს და ვღებულობთ 28.500.000 მანეთის პროდუქციას.

ქუთაისში ამჟამად ძირითადად უკვე ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა. საყოველთაო-სავალდებულო სწავლება უკვე განხორციელებულია არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში, ხოლო 1940 წლიდან გათვალისწინებულია საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელება საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით. ქუთაისში ამჟამად არსებობს 127 სხვადასხვა ტიპის სკოლა, სადაც 28.183 მოსწავლეა და 1.114 მასწავლებელი. არის აგრეთვე 36 საბავშვო ბაღა, სადაც 2553 ბავშვია მოთავსებული.

ავადმყოფთათვის მომსახურების გაწევა ახლა ბევრად უფრო გაუმჯობესებულია, ვიდრე თუნდაც 5 წლის წინათ იყო. 1934 წელს ქუთაისში არსებობდა 49 სამკურნალო დაწესებულება და ამ დაწესებულებებში 91 ექიმი მუშაობდა. ახლა ქუთაისში 63 სამკურნალო დაწესებულებაა და მუშაობს 121 ექიმი.

დიდი წინსვლა დაეტყო ქუთაისის საქალაქო მეურნეობის ყოველ დარგს.

1934 წელს ქუთაისს წყალსადენი არ ჰქონდა. ამჟამად წყალსადენი გაყვანილია და მისი განმანაწილებელი ქსელის საერთო სიგრძე 38 კილომეტრს აღწევს. გაყვანილი და გაფართოებულია ელექტრო-განათების ქსელი. ამ ქსელის საერთო სიგრძე 374 კილომეტრზე მეტია.

ქუთაისის ქუჩების საერთო ფართობი უდრის 1.549.400 კვადრატულ მეტრს. აქედან განვლილი 5 წლის მანძილზე ასფალტბეტონით დავფარეთ 73.000 კვადრატული მეტრი და მოვკირწყლეთ 407.000 კვ. მეტრი.

5 წლის წინათ ქუთაისში მხოლოდ ერთი აბანო იყო; ახლა გაფართოებულია აბანოების ქსელიც. კაპიტალურად შევაკეთეთ ქალაქის ყველა ბიდი, ვაშენებთ და ახლო ხანში დავამთავრებთ მეოთხე ბიდის მშენებლობას (თერი ბიდს ქვემოთ). ეამთავრებთ საკანალიზაციო ქსელის პირველი რიგის სამუშაოებს. საკანალიზაციო ქსელის ნაწილი გადაცემული იქნება საექსპლოატაციოდ.

ყველაფერი ეს კეთდება, მიღწევები ყველასათვის თვალნათლივ დასანახია, მაგრამ ამ მიღწევებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ.

ყველა ეს მიღწევა, ყველა ის გამარჯვებები, რომლებიც ქუთაისის მშრომელებმა მოიპოვეს, არის შედეგი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კონკრეტული ხელმძღვანელობისა, იმ დიდი ზრუნვისა და დახმარებისა, რომელსაც ჩვენ მთელი რიგი წლების მანძილზე გვიწევდა ორდენოსანი საქართველოს ¹ამაყი შვილი ამხანაგი **ლავრენტი ბერია.** მიღწევებსა და გამარჯვებებს ჩვენ, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უთმადლით მშრომელი კაცობრიობის ბელადსა და მასწავლებელს,—დიდ **სტალინს.**

ეჭვი არაა, ქუთაისის მშრომელები სანიმუშოდ და ნამდვილი ბოლშევიკური ორგანიზებულობით ჩაატარებენ ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებს და ახლაც, ისევე როგორც წინა არჩევნებისას, ცხადჰყოფენ თავიანთ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი.**

დამთავრდა ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

ქუთაისი, 20 ნოემბერი (საქდესი). დამთავრდა ქალაქ ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. ამომრჩევლებმა წინასაარჩევნო კრებებზე ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს 204 მოწინავე ადამიანი. საოლქო საარჩევნო კომისიებმა უკვე გაატარეს რეგისტრაციაში წამოყენებული კანდიდატები. რეგისტრირებულთა შორის არიან: პარტიის ქალაქკომის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გრ. იესეს-ძე ნარსია, ქუთაისის სავაგონო დეპოს სტახანოველი მემანქანე გრიგოლ იოსების-ძე ვაშაკიძე, მაუდის ფაბრიკის სტახანოველი მჭედველი ლუბა ლუარსაბის-ასული ძოწენიძე, უპარტიო ექიმი გიორგი ალექსანდრეს-ძე ლიდორქიფანიძე.

ქუთაისი. რ. ლუქსემბურგის სახელობის ქუჩა, ახალი სასტუმრო, ლიტოპონის ქარხნის მუშების ახალი საცხოვრებელი სახლი.
ფოტო ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა)

1914 წლის „აჩრჩევნები“

1914 წელს ქუთაისში უნდა აერჩიათ ხმოსნები ქალაქის „გამგეობაში“ გასაგზავნად. ხმოსანთა არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდათ მხოლოდ მათ, ვისაც უძრავი ქონება (ფაბრიკა, ქარხანა, სავაჭრო ან საცხოვრებელი სახლი) ჰქონდა. ამგვარად, ამომრჩევლებს შეადგენდნენ ვაჭრები, ბობოლა მოხელეები, მემამულეები და საერთოდ მაღალი ფენა. მაშინდელ არჩევნებში სულ 890 კაცმა მიიღო მონაწილეობა და აირჩიეს 57 ხმოსანი. ვისაც დიდი სიმდიდრე ჰქონდა, მას რამდენიმე „საარჩევნო ხმის“ უფლება ეკუთვნოდა, მაგალითად ვაჭრებს,— შავაშიძეს და ავსარქისოვს ჰქონდათ სამ-სამი ხმა.

(ქუთაისის ქალაქის საბჭოს მასალებიდან)

ქუთაისი ემზადება არჩევნებისათვის

▽

გრ. ნარსია

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი

△

საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრში—ქუთაისში ფართოდ გაშლილა მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. მშრომელი მასები დიდი ხალისითა და ენტუზიაზმით მოდიან წინასაარჩევნო კრებებზე და დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ მოწინავე ადამიანებს, ხალხის ერთგულ შვილებს, ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადებულებს. ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია ეწევა გულდასმით შერჩეულ აგიტატორ-პროპაგანდისტთა საშუალებით უდიდეს ახსნა-განმარტებით მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში.

არჩევნებისათვის მზადება უკვე შევიდა უკანასკნელ საპასუხისმგებლო პერიოდში. დაწყებულია დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება და წამოყენებულ კანდიდატთა რეგისტრაცია. ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება უკვე ახლოვე ცხადჰყოფს საბჭოების ქვეყნის მშრომელთა უდიდეს მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ურღვევობას.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების კამპანიის დაწყებამ ქუთაისის მშრომელებში უდიდესი სწარმოო აღმავლობა გამოიწვია. ვ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის სტახანოველებმა ლიდა ახალაძემ და ალექსანდრა გელიაშვილმა განაცხადეს, რომ არჩევნების დღეს ისინი შეხვდებიან შრომის ნაყოფიერების გაზრდის ახალი მაჩვენებლებით. ლ. ახალაძე ამჟამად მუშაობს 4 დაზგაზე, ხოლო გ. ელიაშვილი—6 დაზგაზე. მიქიანის სახელობის საკონსერვო ქარხნის სტახანოველებმა ზარდალიშვილმა და სალდაძემ იკისრეს 150 პროცენტით შეასრულონ წლიური გეგმა. კიროვის სახელობის ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკამ, სტახანოვური შრომის ოსტატების მაღალი საწარმოო აქტივობის შედეგად, წლიური საწარმოო დავალება უკვე 20 ნოემბრისათვის შეასრულა და ქვეყანას მისცა 6.021.000 მანეთის პროდუქცია. 24 დეკემბრის ღისანიშნავად, ამავე ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე გამოუშვას და ქვეყანას დამატებით მისცეს 500,000 მანეთის პროდუქცია. გ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატი, წელს პირველად მთელი თავისი არსებობის მანძილზე, ვადაზე ადრე ამთავრებს წლიური საწარმოო გეგმის შესრულებას. ასევე ითქმის ქუთაისის თითქმის ყველა საწარმოებზე, რომლებიც წლიური გეგმების შესრულებას არჩევნების დღისათვის—24 დეკემბრისათვის ამთავრებენ.

საარჩევნო აგიტაცია მოსახლეობაში ჩვენი ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ქუთაისში ამჟამად 1.100 აგიტატორი მუშაობს. ძირითადად ჩვენ შევინარჩუნეთ აგიტატორთა ის კადრები, რომლებიც გამოყენებული იყვნენ წინა არჩევნების დროს. არჩევნებისათვის მოსამზადებელი მასობრივი სააგიტაციო მუშაობა ქუთაისში ჯერ კიდევ ავისტოში დაიწყო. შექმნილ იქნა 33 სააგიტაციო პუნქტი, ჩამოყალიბდა დიბულების შემსწავლელი წრეები და სხვ. ამჟამად მუშაობს 907 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 15.693 მსმენელი.

ქალაქკომმა დიდი ყურადღება მიაქცია აგიტატორების სწორად შერჩევას და მათი მომზადების წასკითხს. მოეწყო აგიტატორთა 10-დღიანი კურსები, სადაც სექტემბერში გადამზადებულ იქნა 31 აგიტატორი. ოქტომბერში აგიტატორებისათვის კვლავ მოეწყო 12-დღიანი კურსები; გადამზადებულ იქნა 26 აგიტატორი. გარდა ამისა, მოეწყო 3-დღიანი კურს-სემინარი მაუდის ფაბრიკაში, სადაც მომზადებულ იქნა 32 კაცი. ეს ამხანაგები გამოყენებული არიან აგიტატორ-მესაუბრეებად მოსახლეობაში.

საწარმოებსა და აგიტპუნქტებში დასაბმარებლად ქალაქკომმა გაგზავნა პასუხისმგებელი ამხანაგები — პლენუმის წევრები. ჩვენ შევისწავლეთ 21 აგიტპუნქტის მუშაობა და ამ მასალების საფუძველზე დავსვით კონკრეტული ღონისძიებანი სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გასამტკიცებლად. სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა კარგად არის დაყენებული მაუდის ფაბრიკაში, სამკერვალო ფაბრიკაში, ლიტოპონის ქარხანაში, ვ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატში. აქ ბარკომის მდივნებისა და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელების მოფიქრებული და გეგმიანი მუშაობის შედეგად მოწესრიგებულია დებულების შემსწავლელი წრეების მუშაობა, აგიტსემინარები. ყურადღება აქვს მიქცეული წითელი კუთხეების მომარაგებას საარჩევნო ბროშურებით და სხვ. კარგი მუშაობის მაგალითს იძლევიან ლენინის, მოლოტოვის, კიროვის, კ. ჩარკვიანის, ვ. ბაქრაძის და ჟდანოვის აგიტპუნქტების ხელმძღვანელები ამხ. ვ. ნიორაძე, მ. ზონენაშვილი, ა. ბუაძე, გ. ბაბულაძე და სხვ. მათ შედგენილი აქვთ გეგმები, მათი პუნქტები მოწყობილია ლოზუნგებით, პლაკატებით, საარჩევნო ბროშურებით. 3-5 დღეში ერთხელ იწვევია თათბირები, რომლებზედაც ხდება აგიტატორების გამოცდილების ურთიერთგაზიარება და სხვ. აგიტპუნქტის ხელმძღვანელმა ამხ. მ. ზონენაშვილმა წერაში მონაწილე მსმენელებს დაურიგა ბლოკნოტები და ფანქრები. ბლოკნოტების ყდაზე სწერია: „ორ დაგავიწყდეთ, 24 დეკემბერი—არჩევნების დღეა“. ბლოკნოტში მოყვანილია დებულების ზოგიერთი ძუხლი.

აგიტპუნქტის ხელმძღვანელმა ამხ. ბუაძემ გამოიყენა ბოლშევიკური აგიტაციის მრავალფეროვანი, პრაქტიკით შემოწმებული ფორმები— ინდივიდუალური და ჯგუფური საუბარი მოსახლეობასთან, საუბარი ამომრჩევლებთან სახლში, გამოუშვა კედლის გაზეთი, მოაწყო ეშკურსია და სხვა. ცხადია, მუშაობა ყველგან ასე კარგად როდია მოწყობილი. ქალაქში არიან აგიტპუნქტები, სადაც სუსტად არის დაყენებული მასობრივი სააგიტაციო მუშაობა. მაგალითად, ბუაჩიძის, ჭდანოვის და ნაწილობრივ ბარათაშვილის ქუჩებზე დავგიანებით მოაწყეს წრეები მსმენელთათვის და მეცადინეობასაც იშვიათად ატარებენ.

ეს შედეგია ზოგიერთი აგიტპუნქტის არასერიოზული დამოკიდებულებისა მათთვის დაკისრებული მოვალეობისადმი (ამხ. ლუშაშელი. ჩუკიშვილი). ამასთან ერთად არიან პარტბიუროს ისეთი მდივნები (მაგალითად, საკონსერვო ქარხანა—ამხ. ჩაფიძე). რომლებიც გამოყოფილი აგიტატორების მუშაობას თვითდანებას ანდობენ. ისინი ფიქრობენ, რომ პასუხისმგებელი არიან მათ მიერ გამოყოფილ აგიტატორთა საქმიანობისათვის მოსახლეობაში. ამიტომაა, რომ არც კი მოუსმენიათ აგიტატორების ინფორმაცია მოსახლეობაში წარმოებული აგიტაციის მიმდინარეობის შესახებ.

ქალაქკომის VIII პლენუმმა, რომელიც ა.-წ. 10 ოქტომბერს ჩატარდა, სერიოზული გაფრთხილება მისცა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, რათა მათ ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ აგიტატორებს მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებაში. 3 ნოემბერს მოწვეულ იქნა ლენინის სახელობისა და სტალინის სახელობის საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა მიტინგი, რომელმაც მიიღო მიმართვა ქუთაისის ყველა მშრომელისადმი არჩევნების მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩატარების შესახებ. 13 ნოემბერს მოწვეულმა საბნო და საქალაქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა, მდივნებისა და ნდობით აღჭურვილი პირების საერთო-საქალაქო საინსტრუქციო თათბირმა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, დასახა პრაქტიკული ღონისძიებები არჩევნებისათვის მზადების უფრო ფართოდ გაშლილად და არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად.

ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია, აღზრდილი ლენინ-სტალინის პარტიის მიერ და გამოწრთობილი ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ამხანაგი **ლ. ბერიას** მიერ, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უშუალო დახმარებითა და ხელმძღვანელობით სოკეთესოდ შეასრულებს მის წინაშე დასმულ პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანებს და უზრუნველჰყოფს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საუკეთესოდ ჩატარებას.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული მოწინავე ადამიანები (ზევიდან — მარცხნიდან მარჯვნივ): გ. რობაქიძე (სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი), ფ. ფარქოსაძე (საკონსერვო ქარხნის სტახანოველი). თ. რიჟინაშვილი (სატრიკოტაჟო ფაბრიკის სტახანოველი) და ი. ბეშკენაძე სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველი).
ფოტო—ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ქუთაისის ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული მოწინავე ადამიანები (ზევიდან — მარცხნიდან მარჯვნივ): შ. ჯიქია (ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის სტახანოველი), გ. თორთლაძე (მაუდის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი), ბ. ლომაძე (სტალინის სახელობის რაიონ-ჭესის დირექტორი, ორდენოსანი), მ. კაპეტოვაძე (საკონსერვო ქარხნის სტახანოველი).
ფოტო—ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ԱՌԱՋԻՆ ՀԱՆՐԱԳԻՏԱԿԱՆ ԺՈՂՈՎԻ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ԱՌԱՋԻՆ ՀԱՆՐԱԳԻՏԱԿԱՆ ԺՈՂՈՎԻ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ԱՌԱՋԻՆ ՀԱՆՐԱԳԻՏԱԿԱՆ ԺՈՂՈՎԻ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ԱՌԱՋԻՆ ՀԱՆՐԱԳԻՏԱԿԱՆ ԺՈՂՈՎԻ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ԱՌԱՋԻՆ ՀԱՆՐԱԳԻՏԱԿԱՆ ԺՈՂՈՎԻ